პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 172 (18414) შაბათი, 24 ივლისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

დღეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საზეიმო კრება, მიძღვნილი ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის 60-ე წლისთავისადმი.

ყვავილები ლენინს

საბჭოთა სასაზღვრო ჯარები ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა. სწორედ ვლადიმერ ილიას ძემ მოაწერა ხელი სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტს სასაზღვრო დაცვის დაწესების შესახებ, რომელსაც დაეკისრა მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს საზღვრების დაცვა. სასაზღვრო ჯარების ჩამოყალიბება და განვითარება, მათი სრულყოფა ლენინის ანდერძის განხორციელების შედეგია.

23 ივლისს — სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის მე-60 წლისთავის დღესასწაულის დღეს სასაზღვრო ჯარების, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე, ბელადის ძეგლთან შეიკრიბნენ.

მონუმენტის კვარცხლბეკი გვირგვინებით შეიმკო.

* * *

ამავე დღეს გვირგვინებით შეამკეს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის პირველი თავმჯდომარის ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლის კვარცხლბეკი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი გამარჯვების პარკში.

(საქინფორმი)

სამშობლოს სიმშვიდის სადარაჯოზე

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება თბილისში

საზღვარი „მუშაობს“ დასვენების დღეების გარეშე, უწყვეტი გრაფიკით, როგორც მეტალურგები, ქიმიკოსები, ენერგეტიკოსები მუშაობენ... აქ დღეები არ იყოფა სადაგ და სადღესასწაულო დღეებად, არც უამინდობას იღებენ მხედველობაში. სამშობლომ მწვანექუდიან მებრძოლებს საპატიო მოვალეობა დააკისრა — ფხიზლად და საიმედოდ დაიცვან სახელმწიფო საზღვარი ყოველგვარი ხელყოფისაგან. საბჭოთა მესაზღვრენიც პირნათლად ასრულებენ მას.

უკვე ექვსი ათეული წელია ისინი საიმედოდ იცავენ სამშობლოს სამხრეთის მიჯნებსაც. სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის დაბადების დღე დიდი მოვლენა გახდა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, კრასნოდარის მხარის, იმ ოლქებისა და რაიონების მშრომელთა ცხოვრებაში, რომლებთანაც მესაზღვრეებს უკვე მრავალი ათწლეულია მჭიდრო საშეფო ურთიერთობა აქვთ.

ოლქის სახელოვანი ისტორია გრძელდება.

23 ივლისს ბევრი მათგანი შეიკრიბა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, რათა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და ჩრდილოეთ კავკასიის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრების წარმომადგენლებთან ერთად საზეიმოდ აღენიშნათ წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის მე-60 წლისთავი.

საზეიმოდ მორთულ დარბაზში სასაზღვრო ჯარების ვეტერანების გვერდით სხედან ჯარისკაცები და სერჟანტები — საბრძოლო პოლიტიკური მომზადების წარჩინებულნი, ოფიცრები და გენერლები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

კრების პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ს. დემირჩიანი; აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ა. ხალილოვი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ნ. სეიდოვი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ი. ნ. პუგაჩოვი, აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ზ. მ. იუსიფ-ზადე, ყიშლის მანქანათსაშენებელი ქარხნის მღარავთა ბრიგადირი ო. ა. ბაგიროვი, აზერბაიჯანის კომპარტიის მთიანი ყარაბაღის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ს. კევორკოვი; სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ე. სარქისოვი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. ტ. სარქისიანი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ნ. ანდრეევი, სომხეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე მ. ა. იუზბაშიანი; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ტ. ვ. რონტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე.

აქვე არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, ნახიჩევანის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. ა. ალიევა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორია, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტგანყოფილების უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. შირინკინი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი მ. მ. სოცკოვი, აზერბაიჯანისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებათა გამგეები ს. მ. გუსეინოვი და ნ. რ. საჯაია, სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ა. მ. ნეჩესოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი გ. ა. კუცი, კრასნოდარის მხარის, როსტოვის ოლქის, გმირი ქალაქის ნოვოროსიისკის დელეგაციები.

საზეიმო კრება გახსნა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსმა, გენერალ-მაიორმა ბ. ე. სენტიურინმა.

ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

შეკრებილებმა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ბ. ე. სენტიურინს. მან წაიკითხა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მისალმება და თქვა:

— 1918 წლის 28 მაისს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა სახკომსაბჭოს დეკრეტს სასაზღვრო დაცვის დაწესების შესახებ, რომელსაც დაეკისრა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საზღვრების დაცვის ამოცანა.

იმჟამინდელი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო საბჭოთა სასაზღვრო ჯარების შექმნა ამიერკავკასიაში გაცილებით გვიან დაიწყო. ეს იყო ომიდან მშვიდობაზე გადასვლის ძნელი წლები. სასაზღვრო ზოლში აქტიურად მოქმედებდნენ თეთრგვარდიელთა ძალების ნაშთები, ნაციონალისტური და ბურჟუაზიული ელემენტები, იმპერიალისტურ დაზვერვათა აგენტები და სხვა მტრული ძალები.

თავდაპირველად ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დაცვის ფუნქციები იკისრეს ლეგენდარული მე-11 არმიის შემადგენლობიდან გამოყოფილმა სპეციალურმა რაზმებმა. მათგან ჩამოყალიბდა კიდეც ცალკეული სასაზღვრო ქვედანაყოფები.

1922 წლის ივლისში ამიერკავკასიის საგანგებო კომისიასთან იქმნება საზღვრის დაცვის განყოფილება, ხოლო ამ სამსახურის ხელმძღვანელობისათვის — შტაბი და პოლიტსამდივნო. სწორედ ეს პერიოდი ითვლება ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების ისტორიის დასაწყისად.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე მესაზღვრენი ეყრდნობოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებას და თვითონაც ეხმარებოდნენ მას. სოფლის მშრომელებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ ეხმარებოდნენ მებრძოლები, დაძაბული სამსახურის მიუხედავად, ადამიანებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შექმნაში, მიწის დამუშავებაში, პურის, ბამბისა და ყურძნის მოსავლის აღებაში, როგორ იცავდნენ მწვანექუდიანი მებრძოლები სოფლებს მტრებისა და სტიქიური უბედურებისაგან, უზიარებდნენ უკანასკნელ ფურაჟსა და სურსათს.

პარტიისა და სოციალისტური სამშობლოსადმი ურყევი ერთგულება, გამარჯვებისადმი ურყევი მისწრაფება, მასობრივი გმირობა გამოიჩინეს მესაზღვრე მეომრებმა 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში. ბევრი მათგანი უშუალოდ მონაწილეობდა მოქმედი არმიის შემადგენლობაში კავკასიისათვის ბრძოლაში, ქერჩის, ნოვოროსიისკისა და ტუაფსეს დაცვაში, მცირე მიწაზე, ბევრ სხვა უბნებზე გამართულ ბრძოლებში.

სურათზე: თბილისი, 1982 წლის 23 ივლისი. სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.
ი. დავითაშვილისა და ა. რუხაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამიერკავკასიის ათასობით მესაზღვრე მეომარი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, ბევრ მათგანს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

პარტიისა და სოციალისტური სამშობლოსადმი ურყევი ერთ-[illegible]

აგრესიული იმპერიალისტური ძალები ცდილობენ სახელმწიფო საზღვრების საკითხი „ძალის პოზიციიდან“ გადაწყვიტონ, აშკარად აცხადებენ ძალადობას საერთაშორისო ურთიერთობის საფუძვლად.

[illegible]

ზურგში. ეს აისახება ამიერკავკასიისა და კრასნოდარის მხარის სასაზღვრო ზონის ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან, შემოქმედებითი კავშირებთან და კოლექტივებთან, საწარმოების, დაწესებულებების, [illegible]

[illegible]

(დასასრული მე-2 გვ.)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერ-[illegible]

[illegible]

ძმებს ძმურად შეხვდნენ

23 ივლისს საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის მეომრები გულთბილად, ძმურად შეხვდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის დელეგაციებს, რომლებიც ჩამოვიდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღ-[illegible]

[illegible] სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ე. სარქისოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. ტ. სარქისიანი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ნ. ანდრეევი, სომხეთის სსრ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის [illegible]

[illegible]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმი

მოზეიმე რესპუბლიკა ვალდებულებას კისრულობს...

დამკვრელური შრომით, საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანი იუბილეს — სსრ კავშირის შექმნის [illegible]

[illegible]

(დასასრული მე-2 გვ.)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ყველა ჩვენგანმა დიდი ყურადღებით მოვისმინეთ გენერალ-მაიორის ბორის ექვთიმეს ძე სენტიურინის საინტერესო და შინაარსიანი გამოსვლა, და ჩვენ წინაშე თვალნათლივ წარმოჩნდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სამოცი გმირული წელი, მისი სახელოვანი საბრძოლო წარსული და ვაჟკაცური, მხედრული შრომით აღსავსე აწმყო.

და აი, ჩვენ მოვედით საზეიმო კრებაზე, რათა თქვენთან ერთად აღვნიშნოთ ეს ღირსსახსოვარი თარიღი.

ამიტომ, ნება მიბოძეთ, საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციის სახელით, რესპუბლიკის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ და გულითადად მივულოცო ასეთი ღირსშესანიშნავი იუბილე ჯარისკაცებსა და მატროსებს, სერჟანტებსა და ზემდეგებს, პრაპორშჩიკებსა და მიჩმანებს, ოფიცრებსა და გენერლებს, ოლქის მთელ პირად შემადგენლობას, მათ შორის იმათაც, ვინც ამ საათებში, ამ წუთებში მხედრულ სამსახურს ეწევა, საბრძოლო საგუშაგოზე, საზღვაო ვახტზე დგას, საბრძოლო განაწესშია, ფხიზლად იცავს ჩვენი დიადი სამშობლოს სამხრეთ საზღვრებს, აგრეთვე გულითადად მივესალმო დღევანდელი ზეიმის ყველა მონაწილეს.

და, როგორც ყოველთვის, მესაზღვრეებთან ერთად, როგორც ყოველთვის მათ გვერდით არიან მხედრული პროფესიით მათი ერთგული, ნაცადი ამხანაგები, ჩვენი მამაცი მეომრები და სამხედრო მეზღვაურები — თავიანთი რევოლუციური, საბრძოლო ტრადიციებით განთქმული ამიერკავკასიის სახელმოხვეჭილი წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის, წითელდროშოვანი შავი ზღვის ფლოტის, წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის დელეგაციები.

შესანიშნავი დღესასწაულის სიხარულის გასაზიარებლად მოვიდნენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებიც. იგი ხომ ყველა მშრომელის, მთელი ხალხის დღესასწაულია, ნამდვილად საყოველთაო-სახალხო დღესასწაული.

ჩვენს ზეიმს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლობის მაღალი დონე, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქი.

საქართველოს მშრომელები, თბილისელები გულითადად, ძმურად მიესალმებიან დღეს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ჩვენი დიდი მეგობრის, ღრმად პატივცემული გეიდარ ალის ძე ალიევის მეთაურობით.

ყველამ ვიცით მოძმე აზერბაიჯანის მშრომელთა სახელოვანი საქმეები, უდიდესი წვლილი, რომელიც შეაქვს რესპუბლიკას ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. ვსარგებლობ შემთხვევით, და მინდა სულითა და გულით მივულოცო ჩვენს ძვირფას სტუმრებს შესანიშნავი შრომითი წარმატებანი, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის არაერთგზის უმაღლესი შეფასება რომ დაიმსახურა.

დიდად მოხარულნი ვართ, რომ ამ სახელოვან იუბილეს აღვნიშნავთ ჩვენს სომეხ ძმებთან ერთად, რომ ისინი ჩვენთან არიან, გვერდში გვიდგანან. და ჩვენ გულითადად მივესალმებით სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციას სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ჩვენი მეგობრის, ღრმად პატივცემული კარენ სეროჟის ძე დემირჩიანის მეთაურობით.

ყველა საბჭოთა ადამიანმა იცის და ამაყობს თქვენი წარმატებებით, მეგობრებო, ძვირფასო ძმებო, იმით, თუ რა სწრაფად ვითარდება მოძმე სომხეთის ეკონომიკა, ...

[illegible]

...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის

ამხანაგ გ. ა. ალიევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო!

დღეს ამიერკავკასიის ხალხების ცხოვრებაში საერთო სიხარულის, საერთო სიამაყის საზეიმო დღეა: სსრ კავშირის ...

[illegible]

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის

ამხანაგ კ. ს. დემირჩიანის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! ...

[illegible]

მოწინავე რესპუბლიკა ვალდებულებას კისრულობს...

(დასასრული)

ვაჟკაცურად შეებრძოლნენ ავდარს რესპუბლიკის სოფლის მშრომელები. მთავარი იყო სასოწარკვეთილებას არ მისცემოდნენ, ხელი არ აჰკანკალებოდათ. სოფლის კომუნისტთა უზარმაზარი მუშაობა წარმატებით დაგვირგვინდა — მინდვრებისა და პლანტაციების მშრომელებმა მინიმუმამდე შეამცირეს დანაკარგები და პირობა დადეს, რომ შეასრულებენ მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლისა და სხვა პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმას. ისინი მზად არიან უკვე წლის ბოლომდე მნიშვნელოვნად გაზარდონ თავიანთი წვლილი რესპუბლიკისა და მთელი ჩვენი ქვეყნის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

დღეს, თქვეს გამოსულებმა, მთავარი ამოცანაა ვიმუშაოთ ყაირათიანად, ზუსტად გავითვალისწინოთ თითოეული კილოგრამი ლითონი, თითოეული ლიტრი საწვავი, თითოეული კილოვატსაათი ელექტროენერგია. ახლა, როცა მთავარი მოთხოვნა გახდა ეკონომიკის ეკონომიურად გაძღოლა, მფლანგველობის ფაქტები, საქმისადმი უყაირათო დამოკიდებულება განსაკუთრებით შეუწყნარებელია. ათასზე მეტი მსუბუქი ავტომობილის გამოშვება შეიძლებოდა იმ ლითონიდან, რომელიც წლის პირველ ნახევარში გადახარჯა ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, ნახევარ რუსთავს ეყოფოდა ზამთარში გასათბობად სითბო, რომელიც ადგილობრივმა ქიმიურმა ქარხანამ დაკარგა...

ჩვენ შეგვეძლო... მაგრამ ამგვარი შესაძლებლობა გამორიცხულია უყაირათობის გამო, ხშირად იმის გამო, რომ არ სურთ კაპიკი დახარჯონ მანეთის გადასარჩენად. და მით უმეტეს შეუწყნარებელია ზოგიერთი იმ სამეურნეო ხელმძღვანელის პოზიცია, რომლებიც რესურსების დაზოგვის ვითომდა გადიდებულ დავალებებს უჩივიან, თავის გარშემო მნიშვნელოვან რეზერვებს კი ვერ ამჩნევენ.

დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა მტკიცედ და ფართოდ უნდა გავაჩაღოთ სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ყველა რგოლში. აქ ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სატრანსპორტო კონვეიერი. მაგრამ მასაც დღემდე ვერ დაუღწევია თავი დანაკარგებისათვის, რომლებსაც ვაგონებისა და ავტომობილების მოცდენა, საწვავის ზედმეტი ხარჯვა და სხვა მიზეზები იწვევს. მარტო მიმდინარე წლის ექვს თვეში დროულად ვერ გაიგზავნა 50 ათასამდე რკინიგზის ვაგონი.

პლენუმზე ამ ფაქტების მოყვანას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია საუბარი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაზე მისი თითოეული გადაწყვეტილებისათვის, თითოეული დაპირებისათვის. ეს ახალი ამბავი არ არის, შეიძლება ითქვას, არ ყოფილა არც ერთი პლენუმი, აქტივის არც ერთი კრება, რომლებზეც ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ საბაბით ლაპარაკი არ ყოფილიყო ხელმძღვანელის ავტორიტეტზე, კოლექტივისა და საქმის წინაშე მის პასუხისმგებლობაზე. ამ გულახდილ, პრინციპულ საუბარს ახალი ბიძგი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ", რომელშიც ნათქვამია, რომ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მზარდი ამოცანები პარტიული კომიტეტებისაგან მოითხოვს კვლავაც სრულყონ თავიანთი საქმიანობის ფორმები და მეთოდები, გაზარდონ კომუნისტების, ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. და აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული პარტიულ ორგანიზაციაზე, კონკრეტული საქმეების გადაწყვეტაში მათ ფართო და ყოველმხრივ მონაწილეობაზე, პირად მაგალითზე.

ამავე დროს ნორმალურად ვერ მივიჩნევთ იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი საყვედურებს იღებს, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. უფასურდება პარტიული სასჯელის აღმზრდელობითი, პროფილაქტიკური არსი, თუ ამას ფონ არ სდევს ხელმძღვანელი კომუნისტისათვის მინდობილი საქმის შესრულების კონტროლი; ზოგიერთ ასეთ ხელმძღვანელს საყვედურებისადმი თავისებური იმუნიტეტი გამოუმუშავდება ხოლმე.

ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაძლიერება მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი უმთავრესი რეზერვია, აღნიშნეს ორატორებმა. აქ ვერ იქნება და არც უნდა იყოს გულგრილობა და ყოვლისშემწყნარებლობა. მკაცრმა მომთხოვნელობამ კონკრეტული ხელმძღვანელისადმი კონკრეტული საქმისათვის უნდა განსაზღვროს პარტიული კომიტეტების მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

რეზერვები—ეს სიტყვა, შეიძლება ითქვას, ყველაზე ხშირად გაისმოდა გამოსვლებში. ლაპარაკი იყო რეზერვებზე, რომლებიც ოპერატიულად უნდა ჩავრთოთ საქმეში და რეზერვებზე, რომლებსაც ხანგრძლივი მოქმედება აქვთ. ყველა ორატორი ერთსულოვანი იყო ერთ რამეში: გამოუყენებელ შესაძლებლობათა გულმოდგინე ძიება უნდა წარმოებდეს ყოველდღიურად, ყოველ საათს. ამან დიდი მატება შეიძლება მოგვცეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვებაში, აგვინაზღაუროს ზარალი, რომელიც რესპუბლიკის ეკონომიკას მიაყენა სტიქიურმა უბედურებამ.

რეზერვების შეჯამების ეფექტი

მხურვალე გამოხმაურება, რომელიც საქართველოს კომუნისტებში, ყველა მშრომელს შორის გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ", უკვე კონკრეტული საქმეებით ისხამს ხორცს. გაზეთებში დადგენილებების გამოქვეყნებიდან სულ ერთი დღის შემდეგ დაიწყო მუშაობა პლენუმმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების, პლენუმის მისამართით კი უკვე მძლავრ ნაკადად წამოვიდა წერილები და დეპეშები, რომლებშიც ლაპარაკია შრომითი კოლექტივებისა და ცალკეული მშრომელების გადიდებულ ვალდებულებებზე.

მაგალითად, რესპუბლიკის დედაქალაქის ინდუსტრიის მუშაკებმა გადაწყვიტეს ნაკისრი ვალდებულებების გადამეტებით წლის ბოლომდე 10 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გამოუშვან. „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანების მეინსტრუმენტეთა ბრიგადამ, რომელსაც რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ჯ. მშვიდობაძე მეთაურობს, სიტყვა დადო, რომ წლიურ დავალებას შეასრულებს 7 ნოემბრისათვის.

13 მილიონი მანეთი — ასეთი იქნება აფხაზეთის მშრომელთა წვლილი ზეგეგმით ყულაბაში. „სოხუმხელსაწყოს" ქარხნის საინსტრუმენტო საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომლის ხელმძღვანელია რესპუბლიკის ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი რ. შენგელია, გადაწყვიტა ხუთწლედის ორი წლის გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი 7 ოქტომბრისათვის — სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის შესრულოს....

20 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას მოგვცემენ წელს აჭარის მუშები და კოლმეურნეები. მარტო ქობულეთის ჩაის კონცენტრატების წარმოების ვადამდე ამუშავება 4 მილიონი მანეთის დამატებითი პროდუქციის გამოშვების საშუალებას იძლევა...

საგეგმო დავალებების გადამეტებით ორმილიონ-ნახევარი მანეთის სამრეწველო და სასურსათო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცემას გვპირდებიან სამხრეთ ოსეთის შრომითი კოლექტივები...

მრავალი მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ გეგმის გადამეტებით ქუთაისელები და ფოთელები, რუსთაველები და გორელები, საქართველოს ბევრი სხვა ქალაქისა და რაიონის მშრომელები.

და თუმცა ეს ვალდებულებანი ძალზე მოკლე დროში იკისრეს, ამას წინ უძღოდა შესაძლებლობათა გულმოდგინე ანალიზი და რეზერვების ძიება. ზუსტი გაანგარიშება, მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის ოპტიმალური გზების განსაზღვრა, ყველაფერთან ერთად, რესპუბლიკის მშრომელების მეურნეობრიობის კარგი სკოლა გახდა.

პლენუმმა განსაზღვრა რეზერვების ძიების, მათი ეფექტიანი გამოყენების მთავარი მიმართულებანი. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ საქმეში არსებული რესურსები, წარმოების ნარჩენები, მთლიანად ავითვისოთ საწარმოო სიმძლავრეები. დიდ რეზერვს შეიცავს არასტანდარტული პროდუქციის გამოყენება. მაგალითად, „საქფრინველმრეწვის" სისტემის ორ უდიდეს საწარმოში — გამარჯვებისა და კოდის მეფრინველეობის ფაბრიკებში წელიწადში 450 ტონაზე მეტი ასეთი პროდუქცია გროვდება, მთელ სისტემაში კი მისი რაოდენობა 2 ათას ტონას აღწევს. ამ ეგრეთ წოდებული ნარჩენებიდან კი შეგვიძლია ჩინებული ხარისხის ნახევრად შებოლილი ან მოხარშული ძეხვი დავამზადოთ. „საქფრინველმრეწვის" საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელებმა სისტემაში ორი ძეხვის საამქრო შექმნეს, რომელთაგან თითოეულის მწარმოებლობა დღე-ღამეში ტონა-ნახევარი სასურსათო პროდუქციაა.

ყაირათიანი ანგარიში, ქვეყნისათვის მეტი ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიცემის სურვილი ამოქმედებდათ ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომპლექსური მექანიზებული რგოლის მეჩაიეებს, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირი ვალერიან მეუნარგია ხელმძღვანელობს. კოლექტივი წინასწარ, შემჭიდროებულ ვადებში მოემზადა ჩაის ფოთლის საკრეფად და 20 დღით ადრე მოკრიფა პირველი ვეგეტაციის ნედლეული. ამან მნიშვნელოვნად დააჩქარა მეორე ვეგეტაცია, რამაც შესაძლებელი გახადა დამატებით კიდევ 60 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოეკრიფათ.

პლენუმზე გამოსვლების დამახასიათებელი თავისებურება იყო ახალი, გადიდებული ვალდებულებების არა მარტო ციფრობრივი აღნიშვნა, არამედ აგრეთვე ამ ვალდებულებათა საწყისი პოზიციების ჩვენება, რეზერვების ძიებისა და გამოყენების მექანიზმის ჩვენება. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში აუთვისებელი მიწების ჩართვის პრობლემა კარგად გადაწყვიტეს მთიან ცაგერის რაიონში. მათი ნაწილი მოსახლეობას გამოუყვეს საკარმიდამო ნაკვეთებად, ნაწილს — სპეციალურად შექმნილი კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივები ამუშავებენ. მარტო ერთმა ასეთმა ბრიგადამ უკვე აითვისა 10 ჰექტარზე მეტი მიგდებული მიწები, დამატებით რაიონის საერთო ყულაბაში 40 ტონა კარტოფილი და 30 ტონა მარცვლეული შეიტანა, მიკროფერმა შექმნა როგორც საქონლის, ისე ღორების გასასუქებლად. საკითხისადმი კომპლექსურმა მიდგომამ გადააწყვეტინათ კიდევ ერთი პრობლემა: — ახალგაზრდობის დასაქმება ამ [illegible] რეგიონში.

მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, დამატებითი პროდუქციის გამოშვების უდიდეს შესაძლებლობებს შეიცავს შრომის დისციპლინა, თქვეს გამოსულებმა. დამკვრელურად მუშაობენ თბილისელი მეტრომშენებლები; მათი შრომითი კალენდარი უსწრებს ჩვეულებრივს. რესპუბლიკის დედაქალაქის დაშორებული რაიონების მცხოვრებნი მოუთმენლად ელიან ცისფერი ექსპრესების ახალი ხაზების ამუშავებას. მაგრამ, აი არასასიამოვნო ციფრი: ექვსი თვის მანძილზე „თბილისგვირაბმშენის" სამმართველოში 2.300 გაცდენა დაიანგარიშეს. ეს აუნაზღაურებელი დაკარგული სამუშაო დრო იმის ეკვივალენტურია, რომ თითქმის 150 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო არ შესრულებულიყო. და ეს არის მარტო გამოუყენებელი საწარმოო რეზერვი, აქ ლაპარაკია ზნეობრივ ზიანზეც. რადგან მოწინავე მშრომელები, რომლებიც მნიშვნელოვნად აჭარბებენ გამომუშავების ნორმებს, არსებითად იძულებული არიან აანაზღაურონ ზოგიერთი ვაი-მუშაკის გაცდენებით, ლოთობით, უგერგილობით გამოწვეული ზარალი. პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში სწორედ სოციალური, ზნეობრივი ასპექტებით უნდა იხელმძღვანელონ დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დღეს უკვე აღარ არის ისეთი რეზერვები, რომლებიც აშკარად გეცემა თვალში, ხოლო მათი გამოყენება მაშინვე მოგიტანთ მნიშვნელოვან ეფექტს. ახალ შესაძლებლობათა ძიებაში საჭიროა გულმოდგინება, მეთოდურობა, გამოუყენებელი რეზერვები ნამცეც-ნამცეც უნდა ვაგროვოთ და მხოლოდ ერთი შეხედვით ამ წვრილმანი შესაძლებლობათა შეჯამებით მივიღებთ მნიშვნელოვან შედეგს.

დამატებითი პროდუქციის გამოშვების, წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ფართო შესაძლებლობებს გვისახავს სამეურნეო მექანიზმის, სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მართვის სრულყოფა. დიდი საბოლოო შედეგები მოგვცა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში აბაშელთა და მახარაძელთა გამოცდილების გამოყენებამ, რომელიც, არსებითად, ახალი ნიშანსვეტი გახდა დარგობრივი და ტერიტორიული მართვის რაციონალური შერწყმის პრობლემების გადაწყვეტის გზაზე.

საინტერესო ექსპერიმენტი მიმდინარეობს ფოთში. ამ ზღვისპირა ქალაქში აქტიურად ეძებენ დარგობრივ სამინისტროებთან და უწყებებთან პარტნიორობის ახალ ფორმებს, რათა შეიმუშაონ ორმხრივი გადაწყვეტილებანი განვითარების უპირატესად ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე სამრეწველო საწარმოთა კომპლექსური განვითარების შესახებ. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ საკითხებს, ქალაქის მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის მნიშვნელოვან გაზრდას, სასურსათო პროგრამის შესრულებას. ამ დღეებში ცხოვრების საგზური მიიღო ფოთის კვების მრეწველობის საწარმოთა მიერ შემუშავებულმა ახალი სახეობის პროდუქციამ — ვიტამინიზებულმა რძემ, რომლის რეცეპტი ერთად შექმნეს რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ და მახარაძის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადასცენ ჩაის კონცენტრატების ქარხანა.

ქალაქის საწარმოებისა და ორგანიზაციების და უწყება-სამინისტროების მიერ რეზერვების ერთობლივი ძიება უკვე იძლევა დადებით შედეგებს. გამოინახა შესაძლებლობა, რომ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი ხუთწლედისათვის დაგეგმილი 109 პროცენტის ნაცვლად 133 პროცენტამდე გაზარდონ. ამ ბოლო ხანს აქ ორნახევარჯერ გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გაფართოვდა საწარმოო ბაზა მასობრივი მოთხოვნის ნაკეთობათა გამოსაშვებად, მათ შორის — ბანკის კრედიტის, შინ მომუშავეთა შრომის გამოყენების ხარჯზე. ბანკის კრედიტის მეშვეობით შენდება მეორეული რესურსების გადასამუშავებელი მრავალდარგოვანი კომბინატი, რომელიც გადაწყვეტს ქალაქში უნარჩენო წარმოების შექმნის პრობლემას.

რესპუბლიკის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში სამეურნეო და სოციალური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის დაუშრეტელი რეზერვია შრომის ნაყოფიერების გადიდება. მაგრამ, აღნიშნეს ორატორებმა, მთელ რიგ საწარმოებსა და გაერთიანებებში არ მუშაობენ წარმოების ეფექტიანობის ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის გაზრდისათვის. რესპუბლიკის ინდუსტრიის ყოველმა მესამე საწარმომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეამცირა შრომის ნაყოფიერება. ეს ნიშნავს, რომ ასობით ადამიანი, მექანიზმი და ჩარხი მთელი ძალით არ მუშაობს, ყველა შესაძლებლობას არ იყენებს.

საქმეში მთელი არსებული რეზერვების ჩართვა პლენუმმა განსაზღვრა როგორც უპირველესი, უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც დასახულია რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების წინაშე. კვლავაც უნდა განვავითაროთ და გავაღრმავოთ იმ კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობის შინაარსი, რომლებიც მართავენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებს, მიზნად დავისახოთ მათ უწინარესად რეზერვების გამოვლენა და ეფექტიანი გამოყენება. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. საჭიროა ასევე განვავითაროთ და გავაღრმავოთ წარმოების რეზერვების ძიების მართვის გამართლებული სისტემა დარგობრივი და რეგიონალური თვალსაზრისით.

რეზერვების გამოყენებას, მის გამოვლენას ყოველდღიურ კონტროლს უნდა უწევდნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, განსაზღვრავდნენ მშრომელებთან მთელ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას. ადამიანები, მათი გუნება-განწყობილება, უკეთ შრომისადმი მათი მისწრაფება — აი მთავარი რეზერვი, და ეს მორალურ-საწარმოო პოტენციალი მთლიანად უნდა გამოვიყენოთ.

ინტერნაციონალიზმის გაკვეთილები

... სამოცი წლის წინათ იმისათვის, რომ არზა დაეწერათ ან შორიდან მოსული წერილი წაეკითხათ, მთის სოფლის სადახლოს მცხოვრებნი მთელ ამ მხარეში ერთადერთ წერა-კითხვის მცოდნე კაცს — მასწავლებელს მიმართავდნენ ე ნ. დღეს მარნეულის რაიონის ამ სოფლის მშრომელები სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ მათს სკოლაში ასი პედაგოგი მუშაობს და ორი ათასი ბავშვი სწავლობს, რომ სადახლოელია ერთი პროფესორი და 9 მეცნიერებათა კანდიდატი, რომ უბრალო მუშა ქალიშვილი გიულაზ ხალილოვა ჩვენი ქვეყნის პარლამენტის დეპუტატია, რომ მას საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა...

ერთი და ორმოცი — ეს ორი ციფრი, რომელიც გვიჩვენებს რაიონში სამრეწველო საწარმოთა რაოდენობას სამოცი წლის წინათ და დღეს, თვალნათლივ მოწმობს რა ეკონომიკურ მწვერვალებს მიაღწია მარნეულის მრავალეროვანმა რაიონმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

და არა მარტო ამ რაიონმა. ორატორებმა ბევრი ამგვარი მაგალითი მოიყვანეს. სამშენებლო მოედნად გადაიქცა ბოგდანოვკის რაიონი: აქ დაწყებულია სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების თითქმის სამოცი ობიექტის მშენებლობა. დღეს აქ უფრო მეტი სამუშაოები წარმოებს, ვიდრე მთელი წინა ორმოცი წლის მანძილზე.

რესპუბლიკაში ამ ბოლო წლების მანძილზე ხორციელდება ღონისძიებანი აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყოველმხრივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ამ სტრიქონებს „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან ღრმა კონკრეტული შინაარსი აქვს. სამოცი წლის მანძილზე ასჯერ გაიზარდა სამხრეთ ოსეთის საწარმოო პოტენციალი. თითქმის ორმოცი სამრეწველო საწარმო უნიკალურ პროდუქციას უშვებს. ამ მთიანი მხარის განვითარების პროგრამით ნავარაუდევია მიმდინარე ათწლეულის დამლევისათვის სამრეწველო წარმოების მოცულობა თითქმის გაორკეცდეს. ასეთივე სურათი იქმნება რესპუბლიკის სხვა ავტონომიურ ერთეულებშიც.

პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში, რომლებიც საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა ინტერნაციონალურ მეგობრობასა და ძმობას მიეძღვნა, საწყისი პუნქტი იყო იმ ერთაშორისი ურთიერთობის ანალიზი, რომელიც სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება ეკონომიკაში, სულ სხვადასხვა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური დონეთა დაახლოება.

როგორც ისტორიკოსები და ეკონომისტები ამტკიცებენ, სამოცი წლის წინათ ცენტრისა და ეროვნული განაპირა მხარეების ეკონომიკურ შესაძლებლობათა შეფარდება საშუალოდ ოცდათექსმეტი ერთზე იყო. ახლა, როცა ამ შესაძლებლობათა გათანაბრებისა და ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო სუსტი რეგიონების უპირატესი განვითარების პროცესი მადომინირებელი გახდა, შეფარდება მინიმუმამდე შემცირდა. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე რესპუბლიკის პარტიამ და მთავრობამ რამდენიმე ათეული დადგენილება მიიღეს ცალკეული რეგიონების შემდგომი განვითარების შესახებ.

რესპუბლიკაში მცხოვრები ყოველი ერისა და ეროვნებისათვის საქართველოს ეკონომიკის მუდმივი სრულყოფა ნაციონალური პრობლემაც არის, და ინტერნაციონალურიც. რამეთუ ყველა რეგიონის ეკონომიკურ შესაძლებლობათა გათანაბრება, მათი სინქრონული განვითარება რეალური, ფაქტობრივი და არა მარტო დეკლარაციულად გამოცხადებული თანასწორობის კურსია. ეს ტენდენცია, როგორც გამოსულებმა აღნიშნეს, მკაფიოდ შეიმჩნევა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის ყველა დონეზე, სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა ძმური ურთიერთმოქმედების თვალსაჩინო, მნიშვნელოვან ნაყოფს იძლევა.

...გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა ჩუმლაყსა და ყიტაანს აერთიანებს. პირველში უპირატესად ქართველები ცხოვრობენ, მეორეში — ოსები. ამ სოფლების ისტორია ერთმანეთისათვის მეგობრული თავგამოდების, ძმური დახმარების, სიძნელეთა ერთად დაძლევის ისტორიაა. როცა ძლიერმა სეტყვამ დააზიანა კოლმეურნეობის ვენახები, ჩუმლაყელები და ყიტაანელები ერთად ამოუდგნენ მხარში ვაზს, ერთმანეთს დაეხმარნენ სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაში, ერთად მოაწერეს ხელი გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს, რომლებიც დამატებითი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებს უამინდობით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად.

მეგობარი ჭირში იცნობა. ეს ჭეშმარიტება საქმით დაადასტურეს წალკის რაიონის ბერძენთა და რუსთა სოფლების მშრომელებმა, რომლებმაც სამხრეთ საქართველოში მომხდარი სტიქიური უბედურების შემდეგ პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს: იმას, რასაც ავდრით გაპარტახებული მეურნეობანი დაკლებენ, ჩვენი მეურნეობების მოსავლის გადიდების ხარჯზე შევავსებთო. ჯანსის ექსპერიმენტული მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც სეტყვით დაზარალებული კოლმეურნეობის დავალებათა შესრულება იკისრეს, გადაწყვიტეს ერთიორად გადააჭარბონ სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების საგეგმო დავალებებს...

პლენუმის ტრიბუნიდან ასეთი ინტერნაციონალური ურთიერთდახმარების ბევრი ფაქტი მოიყვანეს, და არა მარტო საქართველოს სხვადასხვა ეროვნული რეგიონის, არამედ მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელთა ურთიერთდახმარებისაც. ახლა სხვებთან ერთად საქართველოს სს რესპუბლიკა მონაწილეობს ქვეყნის ინდუსტრიული პოტენციალის ზრდაში, სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში. სულ უფრო იზრდება მისი როლი სახელმწიფოს ძლიერების გადიდება-განმტკიცებაში. ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად სსრ კავშირის მოსახლეობის ორ პროცენტზე ნაკლები ცხოვრობს. ამავე დროს, დღეს საქართველო იძლევა მანგანუმის საერთო-საკავშირო მოპოვების 27 პროცენტზე მეტს, მაგისტრალური ელმავლების 31 პროცენტს, სატვირთო ავტომობილების 2,7 პროცენტს, სასუქების 23 პროცენტს. ჩვენი ქვეყნის სასურსათო ფონდში რესპუბლიკას შეაქვს ციტრუსების თითქმის 100 პროცენტი, ჩაის 95 პროცენტი, ყურძნის 14 პროცენტი, ხილ-კენკრის 11 პროცენტი, საბჭოთის ყველა ხალხის, უწინარესად რუსი ხალხის დახმარებით რესპუბლიკაში შექმნილი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი საშუალებას გვაძლევს წარმატებით გადავწყვიტოთ დიდმასშტაბიანი ამოცანები არა მარტო რესპუბლიკის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის ფარგლებში.

სულ უფრო და უფრო მტკიცდება და ფართოვდება საბჭოთა საქართველოს კავშირურთიერთობა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებთან. ნერიუნგრი და ტიუმენი, ატომმანქანა და ბამი, არაშავმიწანიადაგიანი ზონა და ურენგოი — აი ძმობის მისამართების არასრული ნუსხა, რომელიც ჩაწერილია ჩვენი ქვეყნის ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის წიგნში რესპუბლიკის წარგზავნილთა მიერ.

თანასწორუფლებიანობის, ერთმანეთის პატივისცემისა და ურთიერთნდობის საფუძველზე საქართველოში მცხოვრებ ერთა და ეროვნებათა დასაახლოებლად მიზანმიმართული მუშაობა წარუვალი ამოცანაა ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის, აღნიშნეს ორატორებმა. საჭიროა უზრუნველვყოთ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის კიდევ უფრო მეტი აქტუალობა, მისი მჭიდრო კავშირი შრომითი კოლექტივების წინაშე დასახულ კონკრეტულ ამოცანებთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებთან. მთელი იდეოლოგიური მუშაობის მთავარი მიმართულება და შინაარსი უნდა გახდეს სოციალიზმის ისტორიულ უპირატესობათა არგუმენტირებული, მკაფიო ჩვენება, მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და პროპაგანდისათვის საკადრისი პასუხის გაცემა, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდა.

ამ საქმეში ლამის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. რესპუბლიკის ჟურნალისტთა კორპუსის წინაშე დასახულია პასუხსაგები ამოცანა — ეფექტიანად შეუწყონ ხელი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური და სოციალური წამოწყებების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. აქ განსაკუთრებით საჭიროა ვეძებოთ მკითხველზე, მაყურებელზე, მსმენელზე ზემოქმედების ახალი, ეფექტიანი ფორმები. ყოველ მნიშვნელოვან თაოსნობას, ყოველ კეთილ სამეურნეო ინიციატივას იდეოლოგიური მხარდაჭერა სჭირდება. ახლა საქმეში არ კმარა მარტოოდენ მატერიალურ-ტექნიკური წანამძღვრების შექმნა — საჭიროა ადამიანების მგზნებარება, ახლით მათი დაინტერესება, მათი შემოქმედებითი აზროვნება.

სახალხო-სამეურნეო საქმიანობის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ღონისძიებათა ქმედითი კომპლექსის შემუშავება ნაკლებად მნიშვნელოვანი არ არის, ვიდრე მართვის სრულყოფა, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა. წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების მთავარი რეზერვია ადამიანები, მათი განწყობილება, უკეთ მუშაობის სურვილი. იმისათვის, რომ ეს რეზერვი გამოვიყენოთ, უფრო მკაფიოდ, დამაჯერებლად უნდა გავაშუქოთ, განვმარტოთ ამა თუ იმ საქმის საჭიროება, მისი მნიშვნელობა ყველასა და თითოეულისათვის, დავეხმაროთ მშრომლებს დანაკარგების, უყაირათობის, სახალხო დოვლათისადმი უგერგილო, დაუდევარი დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლის მწყობრი სისტემის შემუშავებაში.

ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, ეყრდნობა რა კომუნისტთა პირველადს ორგანიზაციებს, უნარიანად აგებს იდეურ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას. ეს მუშაობა სულ უფრო მჭიდროდ და ორგანულად უკავშირდება კონკრეტულ ეკონომიკურ და სახალხო-სამეურნეო ამოცანებს. ქმედითი ღონისძიებანი ხორციელდება სამეურნეო საქმიანობის აღმზრდელობითი შედეგებისათვის ყველა რგოლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად.

და მაინც, ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. კვლავინდებურად ძალაში რჩება ლოზუნგი: „ჩვენთვის აუცილებელია გარდაქმნა საქმით, რომელიც უზრუნველყოფს იდეოლოგიური მუშაობის დონის თვისებრივ ამაღლებას", — აღნიშნეს პლენუმის მონაწილეებმა. და ამ გარდაქმნის მთავარი აზრი ის უნდა იყოს, რომ იდეოლოგიური მუშაობა უფრო სრულად ითვალისწინებდეს საზოგადოებრივი განვითარების ახლანდელი ეტაპის თავისებურებებს, შესაბამებოდეს დროის სულისკვეთებას, მგრძნობიარედ და დროულად რეაგირებდეს ცვლილებათა დინამიკაზე.

მიმდინარე წელმა — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის იუბილეს წელმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმმა, „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ახალი შინაარსი, დიდი მგზნებარება უნდა მიანიჭოს იდეოლოგიურ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას, უზრუნველყოს მისი ქმედითობა. საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასება, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შეიცავს, მთელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების სტიმული უნდა გახდეს, უნდა დარაზმოს რესპუბლიკის მშრომელები საიუბილეო წლისა და მთლიანად ხუთწლედის ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის (საქინფორმი).

ი. ს. დოლიძე

ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, 1939 წლიდან სკკპ წევრი ისიდორე სამსონის ძე დოლიძე.

ი. დოლიძე დაიბადა 1915 წლის 5 აპრილს ყოფილი ოზურგეთის მაზრის სოფელ ხვარბეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ 1933-1938 წლებში სწავლობდა ჯერ თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ სვერდლოვსკის იურიდიულ ინსტიტუტში. 1941 წელს იგი ამთავრებს მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის ასპირანტურას და იცავს საკანდიდატო დისერტაციას ქართული სამართლის ისტორიის სპეციალობით. 1941 წლიდანვე ი. დოლიძე კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ზოგადი სამართლის თეორიაში, სახელმწიფო სამართალში, რომის სამართლის ისტორიასა და ზოგადი სამართლის ისტორიაში; 1947-1948 წლებში იგი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანია და ერთ-ერთ კათედრას ხელმძღვანელობს, ხოლო 1952-1958 წლებში საბჭოთა სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგეა. ამავე დროს, 1942-1944 წლებში ი. დოლიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტსაგანმანათლებლო სექტორის გამგედ მუშაობდა, 1944-1945 წლებში ხელმძღვანელობდა განყოფილებას საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროში, 1946-1947 წლებში კი მუშაობდა საბჭოთა საელჩოს თანამშრომლად ინგლისში. უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1949-1952 წლებში იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსია; 1954-1957 წლებში მუშაობს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ. 1957-1960 წლებში ი. დოლიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანია, 1960-1966 წლებში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, 1967 წლიდან კი აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებას ხელმძღვანელობს.

ი. დოლიძის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მოიცავდა ზოგადი სამართლის ისტორიის, კერძოდ, დასავლეთ ევროპის ხალხებისა და ძველი აღმოსავლეთის სამართლის საკითხებს, ხოლო განსაკუთრებით — ქართული სამართლის ისტორიის პრობლემებს. მას მრავალი თვალსაჩინო მონოგრაფია და ქართული სამართლის ძეგლების პუბლიკაცია ეკუთვნის. ი. დოლიძემ საფუძვლიანი გამოკვლევა მიუძღვნა XIV ს. ძეგლს, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს, ტექსტის დართვით („ძველი ქართული სამართალი", 1953), და ამ ნაშრომმა მას იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა. მან, ვ. დონდუასთან ერთად ეს ძეგლი რუსულადაც თარგმნა და გამოსცა 1960 წელს.

ი. დოლიძემ წამოიწყო „ქართული სამართლის ძეგლების" რვატომიანი სერია და მისი I-VII ტომები გამოსცა კიდეც (1963-1982 წწ). ეს გამოცემა საერო და საეკლესიო კანონმდებლობის თითქმის ყველა ძეგლსა და მრავალ მეტად საყურადღებო სასამართლო საბუთს შეიცავს. ი. დოლიძემ შეისწავლა და გამოაქვეყნა გიორგი V ბრწყინვალის „ძეგლის დადება" (1957 წ.), „საქართველოს ჩვეულებითი სჯული" (1960 წ.), ახლად გამოსცა „ვახტანგ VI სამართალი" (1982 წ.), შეკრიბა, რედაქცია გაუკეთა და გამოაქვეყნა XIX ს. გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და მკვლევარის ნ. ურბნელის (ხიზანაშვილის) იურიდიული თხზულებანი (1982 წ.).

ი. დოლიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა ღირსეული შენაძენია ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებისათვის.

ი. დოლიძე დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი სხვადასხვა დროს არჩეული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრად; საზოგადოებრივი დატვირთვის წესით 1960-1966 წლებში ასრულებდა კულტურის სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას, იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და სამართლის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის წევრი და სამართლის ძეგლების სერიის რედაქტორი, აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიის, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოების, ჟურნალ „მაცნეს" სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვ.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს ი. დოლიძის ღვაწლი, იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

ი. დოლიძის სახელი მარად დარჩება ქართველი საზოგადოების ხსოვნაში.

ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ე. კ. ხარაძე, ა. პ. საყვარელიძე, დ. ი. ჩხიკვიშვილი, ვ. მ. ოკუჯავა, ს. ვ. დურმიშიძე, ნ. ა. ლანდია, გ. ნ. ჯიბლაძე, ა. ს. ფრანგიშვილი, ე. ა. სეხნიაშვილი, ი. ო. აწყურიძე, ა. მ. აფაქიძე, ა. ლ. გუნია, ნ. ა. ჟვანია, ვ. ნ. ქაჩიბაია, ვ. ვ. კეშელავა, ს. მ. ჯორბენაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მუშაკები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი

ისიდორე სამსონის ძე დოლიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მიფრინავს რვა თანამგზავრი

1982 წლის 21 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები — „კოსმოს-1388", „კოსმოს-1389", „კოსმოს-1390", „კოსმოს-1391", „კოსმოს-1392", „კოსმოს-1393", „კოსმოს-1394", „კოსმოს-1395". რვავე თანამგზავრი ორბიტაზე გაიყვანა ერთმა მატარებელმა რაკეტამ.

თანამგზავრებზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 7

გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მორიგი, მეშვიდე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია წერილები: ს. რუხაძის — ჩვენი რესპუბლიკის სასურსათო პროგრამა 1990 წლამდე პერიოდისათვის; მ. ნიკოლაიშვილის — მომავალ წარმატებათა საწინდარი; ვ. გორგანელის — მაცოცხლებელი მიწის ყივილი; ა. ჩიკვაშვილის — უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი; ა. მათიაშვილის, გ. თავაძის — დასეტყვილი ვენახის მოვლის თავისებურებანი; შ. ჭანიშვილის — შეუნელებელი ყურადღება სარეველებთან ბრძოლას; ნ. კახიძის — დედას ჰყავდა ათი შვილი; ე. ასლამაზიშვილის — თაობა მიდის, თაობა მოდის; გ. ნიკოლეიშვილის — ტექნიკური პროგრესი და აბრეშუმის პარკის წარმოება სამრეწველო საფუძველზე; გ. ლობჟანიძის — წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებში; რ. ავალიანის — აზოტიანი სასუქების გავლენა სიმინდის მოსავალზე.

გეორგიევსკის ტრაქტატის მეორასე წლისთავისადმია მიძღვნილი ნ. ტყეშელაშვილის სტატია — საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა.

რუბრიკით „ვამოწმებთ აღებულ ვალდებულებებს" თქვენ გაეცნობით სარედაქციო წერილს — ხობელთა სასახელო საქმეები.

ანშლაგით „ქართული ჩაის ღირსებისათვის" დაბეჭდილია: ა. კვარაცხელიას — რაოდენობაც, ხარისხიც..., ლ. კარტოზიას — პლანტაციიდან ფაბრიკამდე.

რუბრიკით „სამშენებლო ობიექტებზე" გამოქვეყნებულია ნ. კლდიაშვილის — რეპროდუქტორის მშენებლობა უნდა დაჩქარდეს.

სამშობლოს სიმშვიდის სადარაჯოზე

(დასასრული)

ამ საზეიმო დღეს მესაზღვრეები განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ იმათ, ვინც საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ოლქის საბრძოლო ტრადიციებს: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის პირველ თავმჯდომარეს, ოლქის ჯარების უფროსს, ფ. ე. ძერჟინსკის ერთ-ერთ ერთგულ მოწაფეს ს. გ. მოგილევსკის, კომისარ ლ. ი. კოლოკოლოვს, სასაზღვრო ჯარების სახელოვან ვეტერანებს — ზამთრის სასახლის აღების მონაწილეს მ. ფ. დუბროვინს, ს. ს. პრაგას, ვ. პ. კობრეიძეს, ლ. გ. კარაპეტიანს, საბჭოთა კავშირის გმირს ნ. თ. ქარაცუპას, მის მოწაფეებსა და მიმდევრებს ი. ნ. კუცკოვსა და მ. გ. გოროვოის. თითოეული მათგანის ანგარიშზეა სახელმწიფო საზღვრის ასზე მეტი დაკავებული დამრღვევი.

ოლქის ერთ-ერთი შესანიშნავი ტრადიციაა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მესაზღვრეებთან მისი მეომრების ინტერნაციონალური ურთიერთობა. დიდი და მტკიცე მეგობრობა გვაკავშირებს ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბისა და მონღოლეთის მესაზღვრეებთან. ერთ-ერთ საგუშაგოში მიწინებული აქვს ბულგარელ მესაზღვრეს ასენ ილიევის სახელი, რომელიც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვარზე მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა, ბულგარეთში კი არის საგუშაგო, რომელიც საბჭოთა მესაზღვრის, საბჭოთა კავშირის გმირის ალექსი ლოპატინის სახელს ატარებს.

დასასრულ ამხ. ბ. ე. სენტიურინმა თქვა:

— ჩვენ კვლავაც განუხრელად განვაგრძობთ ჩვენი პარტიის ნაცად კურსს, მთლიანად დავუჭერთ მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ღირსეულად და პირნათლად შევასრულებთ ჩვენს მხედრულ მოვალეობას, საიმედოდ დავიცავთ დიდი ოქტომბრის სამშობლოს სამხრეთის მიჯნებს!

საზეიმო სხდომაზე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ს. დემირჩიანი, რომლებსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ (ამხანაგების გ. ა. ალიევის, კ. ს. დემირჩიანისა და ე. ა. შევარდნაძის სიტყვები იბეჭდება გაზეთის დღევანდელ ნომერში).

იუბილარ მესაზღვრეებს მიესალმნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. შირინკინი, სკკპ ნოვოროსიისკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. დ. ჟურკინი, სკკპ როსტოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ი. გოლოვეცი, ყიშლის მანქანათსაშენებელი ქარხნის მღარავთა ბრიგადირი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი ო. ა. ზაგიროვი, რადიოფიზიკურ გაზომვათა ინსტიტუტის დირექტორი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პ. მ. გერუნი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ნ. ორჯონიკიძე.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი.

საზეიმო კრების მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი. (საქინფორმი).

საერთაშორისო ცხოვრების ფურცლები (ლოგო)

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

23 ივლისი

● პოლონეთი

პრესკონფერენცია ვარშავაში

ვარშავა. პოლონეთში აკრედიტებული უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ წაიკითხა შემდეგი განცხადება: „პრეზიდენტ რეიგანის 18 ივლისის გამოსვლა შეურაცხმყოფელია პოლონეთის სახელმწიფოსა და ხალხისათვის და არ შეშვენის ცივილიზებულ ქვეყნებს, რომლებსაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან.

ამგვარი ტონით შეერთებული შტატების არცერთი პრეზიდენტი არ გამოსულა. პრეზიდენტმა რეიგანმა თვითნებურად შეითვისა უფლება გვასწავლოს ჩვენ, რა აძლევს ხელს პოლონეთს და როგორი საქციელია ზნეობრივი. პრეზიდენტ რეიგანის გამოსვლის შედარება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის მიერ სეიმში წარმოთქმულ სიტყვასთან ეჭვს არ ტოვებს, ვის სურს, და ვის არ სურს პოლონეთში ურთიერთობის ნორმალიზაცია, ვის ჭირდება დაძაბულობის შენელება და საზოგადოებრივი შეთანხმება და ვინ არის ნამდვილად დაინტერესებული ცეცხლზე ნავთის დასხმით".

ჟენევის მოლაპარაკებაზე

ჟენევა. აქ გაიმართა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების მოლაპარაკებაზე წარგზავნილ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

● აშშ

კანცლერის განცხადება

ვაშინგტონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰ. შმიდტი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობს, ჰიუსტონში გამოვიდა. მან შეშფოთება გამოთქვა ვაშინგტონის საფინანსო პოლიტიკისა და მის მიერ გადიდებული საბანკო დისკონტის განაკვეთების გადიდების გამო, რაც ზარალს აყენებს დასავლეთ ევროპის ეკონომიკას.

შეერთებულმა შტატებმა საკუთარ „ეკონომიკის სახლში" უნდა დაამყაროს წესრიგი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უღრმეს დეპრესიაში ჩააგდებს მსოფლიოს, აღნიშნა ჰ. შმიდტმა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა დაგმო ამერიკის ადმინისტრაციის დისკრიმინაციული ღონისძიებანი ციმბირ-დასავლეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობის მიმართ.

„ჩვენ თავს ნებას ვერ მივცემთ დავარღვიოთ უკვე დადებული შეთანხმებანი. ამიტომ ფედერაციული რესპუბლიკა ისევე, როგორც დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, დაიცავს ამ შეთანხმებებს, — ხაზგასმით აღნიშნა კანცლერმა. ამერიკის შეერთებული შტატების ღონისძიებანი, თქვა მან შემდეგ, ეხება არა მარტო ევროპის ქვეყნების ინტერესებს, არამედ მათ სუვერენიტეტს. ჰ. შმიდტმა უარყო მტკიცებანი, რომლებიც შეერთებულ შტატებში გაისმის, თითქოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საბჭოთა ბუნებრივი გაზის მიწოდება მას სსრ კავშირზე დამოკიდებულს გახდის. „სავაჭრო ემბარგო არ არის საგარეო პოლიტიკის კარგი იარაღი, და იმედი მაქვს, რომ ახალი სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი ამას გაიგებს", — განაცხადა კანცლერმა.

უარის მიზეზია მილიტარიზაცია

ნიუ-იორკი. განმარტავს რა თეთრი სახლის უარს ბირთვული იარაღის, გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ მოლაპარაკებაზე გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი" წერს, რომ ასეთი გადაწყვეტილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია „ამერიკის ადმინისტრაციის დაინტერესება განაგრძოს თავისი ბირთვული შეიარაღების გამოცდა სამხედრო პოტენციალის შემდგომი ზრდის ფარგლებში".

გაზეთი აღნიშნავს, რომ ასეთი მოლაპარაკება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ღონისძიებათა მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნებოდა, რომელიც „ცხადყოფდა ბირთვული სახელმწიფოების ხელმძღვანელთა მზადყოფნას არაფერი მოიმოქმედონ თავიანთი ბირთვული არსენალების გასაფართოებლად". მაგრამ, როგორც სტატიიდან ჩანს, სწორედ ეს არ აძლევს ხელს რეიგანის ადმინისტრაციას.

როგორც ცნობილია, ჟენევის სამმხრივი მოლაპარაკება სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის შეერთებული შტატების მიზეზით შეწყდა 1980 წლის ნოემბერში, როცა რეიგანი პრეზიდენტად აირჩიეს.

ფოტოფაქტი

გენოციდის მსხვერპლნი

გენოციდი, რომელსაც ისრაელი აგრესორები პალესტინელი და ლიბანელი ხალხების წინააღმდეგ ახორციელებენ, მხოლოდ გერმანელ ნაცისტთა მხეცობას თუ შეედრება მეორე მსოფლიო ომის დროს.

სურათზე: ქ. საიდში მცხოვრები ლიბანელის ოჯახი, რომელსაც ისრაელმა ბარბაროსებმა სახლი დაუნგრიეს.

იუპი-საქდესის ფოტო.

მიეძღვნა პოლონეთის აღორძინების დღეს

22 ივლისს გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც ფაშისტი დამპყრობლებისაგან პოლონეთის მიწა-წყლის განთავისუფლების 38-ე წლისთავს — პოლონეთის აღორძინების დღეს მიეძღვნა.

კრება გახსნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ი. არობელიძემ.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ლაშქარაშვილმა.

კრებაზე აგრეთვე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრი, პროფესორი ი. ტაბალოვა, თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების მოწინავე მუშა ნ. მეშველიშვილი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი თ. ცხომელიძე.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს და პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებას ვარშავაში.

კრებას დაესწრნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ზ. მოშიაშვილი.

(საქინფორმი).

ყაბაზი

მესამე ახალგაზრდული...

სსრ კავშირის ქალაქებში გრძელდება მესამე საკავშირო ახალგაზრდული ასპარეზობანი. მინსკში სამბისტებმა კიდევ ხუთ წონით კატეგორიაში (52, 62, 74, 90 და 100 კგ-ს ზევით წონები) დაამთავრეს შეჯიბრება. საქართველოდან ოქროს მედალს დაეუფლა თელაველი თ. ჯველაური (74 კგ), ვერცხლისას — სოხუმელი ს. ტერნოვოი (52 კგ), ბრინჯაოსას — თბილისელი მ. ქეხაშვილი (62 კგ), საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა გუნდურ ასპარეზობაში მეხუთე ადგილი დაიკავა. ლენინგრადში დამთავრებულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრები მეთხუთმეტე ადგილს დასჯერდა, მოსკოვში კი ჩვენმა ნაკრებმა სროლაში მეცამეტე ადგილი დაიკავა. ალმა-ათაში მიმდინარე ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში სავალდებულო პროგრამით ასპარეზობის შემდეგ საქართველოს წარმომადგენელი ა. ლებედევი ოსტატთა შორის მეექვსე ადგილზეა. მან 56,10 ქულა დააგროვა. 57,0 ქულით პირველ ადგილზეა ვ. გონჩაროვი (ბელორუსია). საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში ჯერჯერობით მეხუთე ადგილზეა.

მეჩვიდმეტე ტური

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეჩვიდმეტე ტურის შვიდი კალენდარული მატჩი. გთავაზობთ შედეგებს: ქუთაისის „ტორპედო"-ცსკა 0:2, „ფახთაქორი"-„ზენიტი" 5:0, „ყაირათი"-მინსკის „დინამო" 2:2, „დნეპრი"-„შახტიორი" 2:0, „მეტალისტი"-„ყუბანი" 1:0, „ნეფთჩი"-მოსკოვის „ტორპედო" 0:2, „სპარტაკი"-„ჩერნომორეცი" 1:1.

დღევანდელი გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." (მნ)	16	10	4	2	29-19	24
„არარატი"	16	8	5	3	28-17	21
„მეტალის."	16	7	4	5	16-12	18
„ფახთაქ."	16	6	6	4	18-14	18
„დინ." (თბ)	13	7	3	3	24-19	17
„დინ." (კ)	14	6	5	3	21-11	17
„ყუბანი"	15	6	4	5	21-18	16
„ტორპ." (მ)	15	6	4	5	14-11	16
„სპარტაკი"	15	5	6	4	19-14	16
„დნეპრი"	16	4	7	5	17-21	15
ცსკა	15	6	2	7	16-19	14
„ზენიტი"	15	4	6	5	12-16	14
„ყაირათი"	16	4	6	6	18-24	14
„დინ." (მ)	15	5	3	7	18-19	13
„ნეფთჩი"	16	5	3	8	21-29	13
„ჩერნომ."	16	2	9	5	14-17	13
„ტორპ." (ქ)	16	2	5	9	16-26	9
„შახტიორი"	15	1	6	8	9-20	8

დღეს მეჩვიდმეტე ტურის კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართება. მოსკოვის დინამოელები მასპინძლობენ კიეველ თანაკლუბელებს.

თითქმის მთელი ნაკრები

სპორტული მიმომხილველების ყურადღება მიიქცია იმან, რომ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ არგენტინის ნაკრების თითქმის ყველა მოთამაშე ევროპაში დარჩა.

ნაკრების კაპიტანმა პასარელამ კონტრაქტს მოაწერა ხელი „ფიორენტინასთან". ამავე გუნდს დაუბრუნდა ბერტონიც. ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე არდილესი „ტოტენჰემ ჰოტსპურში" აღარ დაბრუნებულა. გამოცხადდა, რომ იგი პარიზის „პარი-სენ-ჟერმენში" ითამაშებს. ვალდანო „რეალში" (სარაგოსა) დაბრუნდა და თან მიიყვანა ახალგაზრდა ფეხბურთელი კალდერონი. მარადონამ, როგორც ცნობილია, „ბარსელონასთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. ახლა მიმდინარეობს „ვალენსიის" წარმომადგენლების მოლაპარაკება კემპესთან. ამ კლუბში, როგორც ცნობილია, კემპესი ადრეც თამაშობდა. მეკარე ფილოლი და ნახევარმცველი ბარბასი ასევე დარჩნენ ესპანეთში, ოღონდ ჯერ ცნობილი არ არის, რომელ კლუბში ითამაშებენ.

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. ესპანეთის ქალაქ ლას-პალმასში გრძელდება ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო შეჯიბრება. რვა ტურის შემდეგ ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს: ტუკმაკოვი და სმისლოვი. მათ 5,5-5,5 ქულა დაუგროვდათ. მომდევნო ადგილებზე არიან რიბლი (უნგრეთი) — 5 ქულა, შუბა (რუმინეთი) და ლარსენი (დანია) — 4,5-4,5, პეტროსიანი და ტიმანი (ჰოლანდია) — 4-4 (თითო გადადებული), მესტელი (ინგლისი) და ბუაზისი (ტუნისი) — 4-4, პინტერი (უნგრეთი) — 3,5, ბრაუნი (აშშ) — 2,5 (1), სუნიე (ბრაზილია) და კარლსონი (შვეცია) — 2,5-2,5, ფსახისი — 2 (1).

ბად-კისინგენში (გფრ) მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო შეჯიბრების ცხრა ტურის შემდეგ გათამაშდა გადადებული პარტიები. მეათე ტურის წინ რუმინელ მ. პოგორევიჩს 7 ქულა აქვს, ლ. სემიონოვას, ტ. ლემაჩკოს (ბულგარეთი) და ბ. ჰუნდს (გფრ) — 6,5-6,5 ნ. გაფრინდაშვილს და ე. კლიმოვას (ჩეხოსლოვაკია) — 6-6, მ. ლიტინსკაიას და მ. ივენკას (უნგრეთი) — 5,5-5,5 ქულა.

ფარიკაობა. რომში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი. მოხმალავეთა გუნდურ ასპარეზობაში. სსრ კავშირის ნაკრებმა მეათე საპრიზო ადგილი დაიკავა მას შემდეგ, რაც პოლონელთა გუნდი დამარცხდა (8:6). პირველობა მოიპოვეს უნგრელებმა, მეორე ადგილი — იტალიელებმა. ახლა დამნოსნები გაითამაშებენ პირად-გუნდურ პირველობას და ამით დამთავრდება მსოფლიო ჩემპიონატი.

რედაქტორი
ვ. ბედინეიშვილი.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 26 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგზაურობა უზბოის გარშემო". 10.00 — „მოამბე", 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა" — მხატვრული ფილმი — „მეცამეტე გაზაფხული". 12.00 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — სტუდიაშია ვილნიუსის რუსული დრამატული თეატრი (განმეორებით). 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმები. 18.10 — „მე კომკავშირელი ვარ". 18.35 — განცხადებები. 18.40 — „ვერნისაჟი" — დ. გაბაშვილი. 19.15— „პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლა" (გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის). 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „ქართული კინოს ისტორიიდან"— მხატვრული ფილმი „დარიკო". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „შეხვედრა კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილთან". 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ახალგაზრდა მხატვრები". 17.40 — განცხადებები. 17.45— მხატვრული ფილმი — „მლაშე ნაგაზი".

სამშაბათი, 27 ივლისი

პირველი პროგრამა. 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.20 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — „მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნება" — ლიტვა. 19.00 — „მეცნიერების სამყაროში". 19.30 — „მოამბე". 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო" — ერევნის „არარატი" — რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. შესვენების დროს კინონარკვევი. 21.45 — მულტიპლიკაციური ფილმი. 21.55 — „ჩაი-82". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე ქუთაისის „ტორპედო" — მოსკოვის „ტორპედო", რეპორტაჟი ქუთაისიდან. (ვიდეოჩანაწერი) დასასრულ ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აკვალანგი და ლასტები". 17.20 — განცხადებები. 17.25 — მხატვრული ფილმი „შავყურა თეთრი ბიმი". I სერია.

ოთხშაბათი, 28 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — ჩვენს დიად სამშობლოში, სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კეთილ საქმეთა ნაპირი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა" — მხატვრული ფილმი „მარინკა, იანკა და მეფის ციხე-კოშკის საიდუმლოება". 11.50 — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი". „ახალგაზრდა ლიტერატორები" (განმეორებით). 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 17.30 — გადაცემა სპორტულ თემაზე „სასიცოცხლოდ აუცილებელი". 18.05 — კონცერტი „ახალგაზრდების ხელოვნება". 18.55 — განცხადებები. 19.10 — „მაიაკოვსკის დღეები საქართველოში. 20.00 — „მოამბე". 20.30 — სტუდია „დიალოგი" — „სასურსათო პროგრამა მოქმედებაში". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „პირველად ჩვენს ეკრანზე „მხატვრული ფილმი — „ალმასის ბილიკი". I სერია. 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნისიური ცხენები". 17.25 — განცხადებები. 17.30 — მხატვრული ფილმი „შავყურა თეთრი ბიმი". II სერია.

ხუთშაბათი, 29 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლიენიტე". 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". — მხატვრული ფილმი — „ვალსი" და მულტფილმები. 12.00 — „რუსულ-ქართული თეატრის ურთიერთობანი" (გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის) — (განმეორებით). 13.00 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 17.05 — „შეხვედრა აბიტურიენტებთან" — ქართული ენა. 18.00 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — „ცხოვრების საგზური". 19.20 — „სახალხო კონტროლის ეკრანი". 19.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოხუცი და ცხენი". 20.00 — „მოამბე". 20.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი — ალმასის ბილიკი". II სერია. 21.55 — „ჩაი-82". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის პაატა ბურჭულაძის კონცერტი. 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სატირული ჩანახატები". 17.20 — განცხადებები. 17.25 — მხატვრული ფილმი „ასი დღე ბავშვობის შემდეგ".

პარასკევი, 30 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში". — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მამისეული სახლის ზღურბლი". 10.00 — „მოამბე", 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა" — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დაბინდული სიჭაბუკის გარიჟრაჟზე". 17.30 — გადაცემა „ეკონომიკური ცოდნა მასებს". 18.00 — განცხადებები. 18.05 — ბავშვებისათვის — „წყაროსთვალი" — სატელევიზიო ჟურნალი. 18.45 — „ჩვიდმეტი მირითადი". 19.30 — „რედაქციაში წერილი მოვიდა" — „თქვენი სიგნალების ექო". 20.00 — „მოამბე". 20.30 — მხატვრული ფილმი — „მეელმოდური კომედია". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" „თეატრალური პანორამა". 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მორშინი". 17.20 — განცხადებები. 17.25 — მხატვრული ფილმი — „ოკეანე".

შაბათი, 31 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი თანატოლები". 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა" — მხატვრული ფილმი „ალმანზორის ბეჭდები". 11.35 — „შეხვედრა აბიტურიენტებთან" — მათემატიკა. 12.25— „პოეზიის ხუთი წუთი". 12.30 — „ჩვენი ანონსი". 12.50 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაში დოცენტი თ. კვაჭანტირაძე). 13.20 — „პოეზიის ხუთი წუთი". 13.25 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი. 14.10 — მუსიკალური შესვენება. 14.15 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — „ჩვენი სტუმარია სვერდლოვსკის ტელევიზია". 15.45 — „პოეზიის ხუთი წუთი". 15.50 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა. 16.20 — „საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე". 16.50 — „პოეზიის ხუთი წუთი". 16.55 — გადაცემა — „უბრალო პროფესიის ადამიანები". 17.15 — „ახალგაზრდობა"— სატელევიზიო პროგრამა. 18.25— „პოეზიის ხუთი წუთი". 18.30 — გადაცემა ქალებისათვის „საზაფხულო მოდები". 19.00 — „მეცხრე სტუდია" (მ.). 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე [illegible] „დინამო". II ტაიმი (მ.). 20.45 — „მოამბე". 21.15 — [illegible]. 21.55 — „ჩაი-82". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — „დაე, მარად თან გვდევდეს სიმღერა" (ნანი ბრეგვაძის კონცერტები ლენინგრადში).

კვირა, 1 აგვისტო

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ამღერებული მაქმანების სამყაროში". 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა" — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „გულკა". 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.45 — „ცეროდენას ეკრანი". 12.05 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — „ვერნისაჟი" რ. სიმონიანის ნამუშევრების გამოფენაზე. 12.40 — „კინოაფიშა". 13.05 — „იავნანა" — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის (განმეორებით). 14.05 — ახალგაზრდობისათვის — „სამშობლოა ჩვენი მეკვლე" — „ყამირი-82" (კონცერტი შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის). 14.50 — „ხალხური სიმღერის მოამაგენი" ოთარ ჩიჯავაძე. 15.35 — „ვესტნიკი". 16.05 — „ილუზიონი". 17.50 — დღეს რკინიგზელთა საკავშირო დღეა" (სტუდიაში სსრ კავშირის გზათა მინისტრი ი. პავლოვსკი (მ.). 18.10 — „ქალაქური პანგები". 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.). 19.45 — „ჩვენი ლაშქარი" — ლ. ყლენტი. 20.00 — „მოამბე". 20.30— „ზღაპრის გუდა". 20.45 — გ. ტაბიძის საიუბილეოდ — ლიტერატურული გაერთიანება „საჩინო". 21.20 — კონცერტი — „უკრავს ნინო ჭირაქაძე". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა". 23.05 — „ბალეტის მოყვარულთათვის".

რა მოვისმინოთ



საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 26 ივლისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა". 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 8.15 — „პიკის საათი". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 11.15 — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმის საპასუხოდ" — საუბარი „მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო ინტეგრაცია". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა". 11.40 — ბავშვებისათვის — „გამარჯობა, ზაფხულო!". 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — გ. ორბელიანის ლექსები. 12.30 — პ. სარასატე. სავიოლინო პიესები. 12.45 — ეკრანის მელოდიები. 13.30 — უკრავს საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო-სიმფონიური ორკესტრი. 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". რ. ინანიშვილის მოთხრობები. 14.20 — ბავშვებისათვის — კონცერტი „მხიარული არდადეგები". 15.00 — „რევოლუციური იდეალების ერთგულება" (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ბავშვებისათვის — „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში": მაგელანი. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „ჩემი, შენი, ჩვენი ხუთწლედი" — საუბარი „ფერთა სიმრავლით". 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 19.30 — „ქართული ჩაის პრესტიჟისათვის" 20.30 — ზ. ფალიაშვილი. ოპერა „დაისი". 23.30 — საღამოს მელოდიები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

სამშაბათი, 27 ივლისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა". 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ა. ჩიმაკაძე. სიმღერები. 11.15 — „საზოგადოება „ცოდნის" ლექტორი მიკროფონთან" — საუბარი „მოსახლეობის მიგრაციის პრობლემები საქართველოში". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 11.40 — ბავშვებისათვის — „გამარჯობა, ზაფხულო!". 12.15 — ა. დვორჟაკი. სლავური ცეკვები. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ნ. ტიხონოვის ლექსები. 12.30 — მღერის ანსამბლი „75". 12.40 — „სსრკ-60". „თურქმენეთი ერთიან ძმურ ოჯახში". თურქმენეთის რადიოს გადაცემა. 13.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". რ. ინანიშვილის მოთხრობები. 14.20 — ბავშვებისათვის — კონცერტი „მხიარული არდადეგები". 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15— ეკრანის მელოდიები. 17.35 — ბავშვებისათვის — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!". 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „ავტომოყვარულთა საზოგადოება დღეს და ხვალ". საუბარი. 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 19.30 — „ქართული ჩაის პრესტიჟისათვის". 20.00 — რადიოსადგური „სიჭაბუკე". 20.45 — ო. თაქთაქიშვილი. კამერული ნაწარმოებები. 21.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო" — ერევნის „არარატი". მეორე ტაიმი. 22.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ქუთაისის „ტორპედო" — მოსკოვის „ტორპედო". მეორე ტაიმი. 23.30 — ძველებური რუსული რომანსები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ოთხშაბათი, 28 ივლისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა". 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 11.15 — „პარტიული ცხოვრება" — საუბარი „საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 11.40 — ბავშვებისათვის — „გამარჯობა, ზაფხულო!". 12.10 — „ნაშუადღევს". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.30 — ბავშვებისათვის — ორი სცენა სპექტაკლიდან „ანზორი". 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". რ. ინანიშვილის მოთხრობები. 14.20 — ბავშვებისათვის — კონცერტი „მხიარული არდადეგები". 15.00 — „უკრავს პ. ჩაიკოვსკის სახელობის მე-7 საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, პიანისტი პ. დონოხოუ (ინგლისი)" (მ.). 17.00 — თბილისის ახალი ამბები. 17.15 — გ. ციციშვილი. კონცერტი ვიოლონჩელისა და ორკესტრისათვის. 17.40 — ყველაზე პატარებისათვის — რადიოსადგური „ციცინათელა". 18.00 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „ახალი ლიტერატურული ჩანაწერები". ტ. საყვარელიძე კითხულობს ქართველი პოეტების ლექსებს. 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 19.30 — „ქართული ჩაის პრესტიჟისათვის". 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (მ.). 20.30 — „ბაქო-თბილისი-ერევანი". რადიოჟურნალი (ბაქოდან). 21.00 — „ძილისპირული". 21.15 — ახალგაზრდობისათვის — „კომუნისტები". რადიონარკვევი „ახალგაზრდა თავმჯდომარის ფიქრები". 22.00 — მღერის ანსამბლი „რუსთავი". შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის. 23.30 — უკრავს კამერული ორკესტრი ვ. შტროსის ხელმძღვანელობით. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ხუთშაბათი, 29 ივლისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა". 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 9.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.22 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 11.10 — „მიზნობრივ-კომპლექსური პროგრამა მოქმედებს", საუბარი მრგვალ მაგიდასთან", „პროგრამა „კოლხეთი". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 11.40 — ბავშვებისათვის — „გამარჯობა, ზაფხულო!". 12.15 — ა. გლაზუნოვი. ნაწყვეტები ბალეტიდან „რაიმონდა". 12.25 — „სცენის ოსტატები. სცენა სპექტაკლიდან „მაია წყნეთელი" ვ. გოძიაშვილის, ე. ყიფშიძის, ვ. ნინუას მონაწილეობით. 12.35 — მღერის გ. ნადირაშვილი. 12.50 — პოპულარული კამერულ-ინსტრუმენტული პიესები. 13.30 — საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერული ჯგუფის კონცერტი. 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". რ. ინანიშვილის მოთხრობები. 14.20 — ბავშვებისათვის — კონცერტი „მხიარული არდადეგები". 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.35 — ბავშვებისათვის — რადიოსადგური „სიყმაწვილის თანამგზავრი". 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. 19.20 — ნ. გაბუნია. ელეგია. 19.30 — ქართული ჩაის პრესტიჟისათვის. 19.40 — ქართული ხალხური სიმღერები. 20.30—„შეგვეხმიანეთ". ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია. 21.00 — „ძილისპირული". 21.15 — დირიჟორი დიდიმ მირცხულავა", კონცერტი-საუბარი, 23.30 — საღამოს მელოდიები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

პარასკევი, 30 ივლისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა". 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — მღერის ზ. ანჯაფარიძე. 11.15 — „სსრკ-60". თურქმენი პოეტების ლექსები. 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 11.40 — ბავშვებისათვის — „გამარჯობა, ზაფხულო!". 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 12.35 — მუსიკალური პროგრამა „შეხვედრები მიკროფონთან", შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის. 13.30 — რ. გაბიჩვაძე. საფორტეპიანო სონატა. 13.50 — ბავშვებისათვის — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე. 14.00 — პოპულარული საბალეტო მუსიკა. 14.20 — ბავშვებისათვის — კონცერტი „მხიარული არდადეგები". 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება". კონცერტი — თ. შაველოხაშვილის ნაწარმოებები. 17.40 — ბავშვებისათვის — „ყველას საფიქრალი და საზრუნავი". 18.00 — „პიკის საათი: საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 19.00 — „ბრიგადა, ეფექტიანობა, პრობლემები" — საუბარი „როგორ ვაღწევთ წარმოების ეფექტიანობას". 19.30 — „ქართული ჩაის პრესტიჟისათვის". 19.40 — ქართული ხალხური სიმღერები. 20.30 — „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის". კ. გამსახურდია. „ლევ ტოლსტოი". 21.00 — „ძილისპირული". 21.10 — „სანდრო კავსაძე". მუსიკალური ნარკვევი. შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის. 22.00 — „სსრკ-60". — საუბარი „პირველი რევოლუციური სპექტაკლი". 23.30 — ჟ. ბიზე. ნაწყვეტები ოპერიდან „კარმენი". 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

შაბათი, 31 ივლისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა", 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 9.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.22 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 11.15 — „ჩვენი ლაშქარი". რადიონარკვევი „მძიმეწონოსანი". 11.40 — ბავშვებისათვის — „გამარჯობა, ზაფხულო!". 11.50 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია. 12.00 — „ტრადიცია და თანამედროვეობა" — საუბარი „მრგვალ მაგიდასთან" „ჩვენ და ტრადიციები". 12.20 — მ. იაშვილის კონცერტი. 13.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 14.00 — „გორის თეატრი დღეს". რადიოკომპოზიცია. 15.00 — „ჩანგი". რადიოჟურნალი. 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.50 — კამერულ-ინსტრუმენტული პიესები. 17.15 — ბავშვებისათვის — „ჩვენი მეგობარი ბურატინო". 18.00 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „ადამიანი და კანონი". რადიოჟურნალი. 19.30 — „ქართული ჩაის პრესტიჟისათვის". 19.40 — „კურორტი და დამსვენებლები". რადიოკომპოზიცია. 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ცსკა — თბილისის „დინამო". 21.45 — „სსრკ-60". თურქმენული მუსიკის კონცერტი. 22.00 — „საღამოს მშვიდობისა!" შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის. 23.00 — ახალგაზრდობისათვის — „გამარჯობა, ყამირელო!". 23.30 — ბ. კრავეიშვილის კონცერტი. 23.55 უკანასკნელი ცნობები.

კვირა, 1 აგვისტო

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 7.30 — „საერთაშორისო დღიური" (მ.), 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 9.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.22 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", საკვირაო გამოშვება. 11.35 — მუსიკალური რადიოაფიშა. 12.15 — „პოეტი მიკროფონთან" — კ. კალაძე. 12.30 — „მუსიკალური მოზაიკა", შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის. 13.30 — ახალგაზრდობისათვის — „მუსიკის საათი". 14.30 — ფიზკულტურა და სპორტი". რადიოჟურნალი. 15.00 — „მეგობრობის კონცერტი" (ერევნიდან). 15.30 — „სსრკ-60". მეგობრობის გზები". „თურქმენეთის რადიოს გადაცემა. 15.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 16.30 — „საერთაშორისო მიმომხილველი მრგვალ მაგიდასთან" (მ.). 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ბავშვებისათვის — „რადიოდადგმების საზაფხულო ფესტივალი" — „ამბავი ნამდვილი ადამიანისა". პირველი ნაწილი. 18.15 რადიოსადგურ „იუნოსტის" პროგრამა (მ.), 19.00 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!". 19.30 — „ქართული ჩაის პრესტიჟისათვის". 19.40 — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!" (კონცერტის გაგრძელება). 20.13 — „კულტურული ცხოვრების ქრონიკა" (მ.). 20.30 — „ერთანაში გაგონილი სიმღერა". კომპოზიცია. შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის. 21.03 — ა. ადამია, „სოფელი ხემაღალი". რადიოდადგმა. 22.00 — პროგრამა „სტუდენტური დისკოთეკა". შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის. 23.30 — კ. სენ-სანსი. მეორე საფორტეპიანო კონცერტი. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

24 ივლისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — ქ. ერევნის ბავშვთა მხატვრული კოლექტივების კონცერტი. 10.25 — „თევდორე ტროფიმეს ძე და სხვანი...". მე-3 გადაცემა. 10.55 — მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება. 11.25 — ი. კ. აივაზოვსკი. ფეოდოსიის სურათების გალერეა. 12.00 — „დღეს პარკში". ფილმ-კონცერტი. 12.30 — სპორტლოტო. 12.40 — გამარჯვებულნი. წყნარი ოკეანის ფლოტის 50-ე წლისთავის გამო. 14.10 — ფილმი — ბავშვებს. „შტორმი ხმელეთზე". 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — ცხოველთა სამყაროში. 16.45 — ხვალ ვაჭრობის მუშაკთა დღეა. გადაცემაში მონაწილეობს სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი ა. ი. სტრუევი. 17.10 — „მოგვილოცავს". მუსიკალური პროგრამა ვაჭრობის მუშაკთა დღის გამო. 17.55 — მულტფილმი „გერია". 18.15 — გესაუბრებათ პოლიტიკური მიმომხილველი ვ. პ. ბეკეტოვი. მონაწილეობს პარტიის ტულის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ხ. იუნაკი. 19.00 — ფეხბურთი. მოსკოვის „დინამო" — კიევის „დინამო". 20.45 — გი დე მოპასანი — „მონტ-ორიოლი". ტელესპექტაკლი. 22.00 — „ვრემია". 22.35— სპექტაკლის გაგრძელება. 00.30 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.25 — დოკუმენტური ფილმები ვაჭრობის მუშაკთა დღის გამო. 10.15 — მხატვრული ტელეფილმი „მესამე განზომილება". მესამე სერია — „ტრაპი ნაპირზე რჩება". 11.30 „დილის ფოსტა". 12.00 — რ. პოგოდინის მოთხრობები. 12.45 — „რა? სად? როდის?". ტელევიქტორინა. 13.55 — ხალხური მელოდიები. 14.15 — ჩელიაბინსკის სატელევიზიო სტუდიის პროგრამა. კინოჩანახატი ქალაქ ჩელიაბინსკის შესახებ. 14.25 — „ადამიანი ქარხანას — ქარხანა ადამიანს". კინონარკვევი. 14.45 — „ჩვენ ურალში ვცხოვრობთ". საკონცერტო პროგრამა. 15.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 15.30 — მხიარული სტარტები. 16.15 — — საერთაშორისო მიმოხილვა. 16.30 — მუსიკალური ტელეფილმი „საყვარელი სიმღერები". 17.10 — „ადამიანი დედამიწის ბატონ-პატრონია". 18.15 — ა. ვ. ნეჟდანოვას სახლში". გადაცემაში მონაწილეობენ პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის მე-7 საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები და დიპლომანტები. 19.30 — დიდი ოქტომბრის 65-ე წლისთავისათვის. „ჩვენი ბიოგრაფია". 30-ე ფილმი — „1946 წელი". 20.30 — მუსიკალური კიოსკი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო?". 21.15 — ჯანმრთელობა. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „გამოსწორებულს ენდეთ".

24 ივლისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დირექტორი", 10.00 — „მოამბე", 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა" — მულტიპლიკაციური ფილმი „ლუგაშ მატი", 12.00 — „პოეზიის ხუთი წუთი", 12.05 — „ყრილობაზე ითქვა — რა გაკეთდა?" — სატელევიზიო პროგრამა „ხუთწლედი. წელი მეორე", 12.55 — „პოეზიის ხუთი წუთი", 13.00 — საესტრადო კონცერტი, 13.45 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე". 14.35 — „პოეზიის ხუთი წუთი", 14.40 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — „ჩვენი სტუმარია ლიტვის ტელევიზია". 16.40 — პოეზიის ხუთი წუთი". 16.45 — „ხვალ ვაჭრობის მუშაკთა დღეა"—სტუდიაშია საბჭოთა კავშირის ვაჭრობის მინისტრი ა. ი. სტრუევი (მ.), 17.10 — — „თბილისი და თბილისელები". 17.45 — „პოეზიის ხუთი წუთი". 17.50 — „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!". ცაგერის რაიონი, 18.50 — „თვალთაი" — სატელევიზიო ჟურნალი, 19.30 — „მოამბე", 20.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: მოსკოვის „დინამო" — კიევის „დინამო". მეორე ტაიმი (მ), 20.45 — „პოეზიის ხუთი წუთი". 20.50 — მუსიკალური გადაცემა — „სერგეი ლემეშევი", 21.15— „ქართული სპორტის მატიანე" — სპორტული თბილისი. 21.45 — „პოეზიის ხუთი წუთი", 21.50 — კინონარკვევი. 22.00 — „ვრემია", (მ.), 22.35 — მხატვრული ფილმი „ოკეანე".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66484 უე 09311 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20